# ხელშეკრულება № 17

## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 5... ივლისი... 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მესხეთის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნაზი სადილიანის სახით და მეორეს მხრივ, ...........შპს "დიათი" ს/ნ 212919813....................................

(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი დიასამიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია .სასკოლო ავეჯის დამზადება-მიწოდება... (CPV: 39100000----- ) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 810 ( რვაასათი----------------) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

### მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან ...10..... (.........ათი...............) დღის ვადაში .....5 ივლისიდან 15 ივლისამდე........... ჩათვლით შემსყიდველის მისამართზე (წყალტუბო. სოფელი ქვედა მესხეთის საჯარო სკოლა).

### მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებისსაერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

6.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილების დროს) განისაზღვროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობა;

6.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, განისაზღვროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობა.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

### მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

### მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

### მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

### მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის ......15 აგვისტოდან......14 სექტემბრის............................ ჩათვლით.

### მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**შემსყიდველი:**

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მესხეთის საჯარო სკოლა

მისამართი: წყალტუბო. სოფელი მესხეთი

ტელეფონი: 577 965527

საიდენტიფიკაციო კოდი: ს.კ 221299832

საბანკო რეკვიზიტები: „საქართველოს ბანკი" (კოდი)

ანგარიშსწორების ანგარიში: (GE62BG 0000000119484100)

დირექტორი /ნ. სადილიანი/

ნ. სადილიანი

ხელმოწერა ბ.ა.

**მიმწოდებელი:**

შპს „დი-თი"

ს/კ - 212919813

მის.: ქ. ქუთაისი ნიკეას ქუჩა I შესახვევი 4/61

ტელ.: 8431 26 58 85

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი TBGBGE22
ა/ა GE71TB5382936020100005/GEL

დირექტორი /[illegible]/

(ხელმოწერა) ბ.ა

# მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. ქუთაისი 12. 08. 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შპს „დი-თი"................................................................ დირექტორი (შემდგომში მიმწოდებელი) მხრიდან, და მომსახურების მიმღები სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მესხეთის საჯარო სკოლის დირექტორი ნაზი სადილიანი (შემდგომში - შემსყიდველი) ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2016 წლის ........5 აგვისტოს.......... გაფორმებული N 17... ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელმა ჩავაბარე, ხოლო შემსყიდველმა მივიღე ..............საბავშვო....ავეჯის.......................................................................................................... მიღება-ჩაბარება.

გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების შესაბამისად შეადგენს (რვაას ათი - 810 ) ლარს.

ნ. სადილიანი

ნაზი სადილიანი
სსიპ წყალტუბს მუნიციპალიტეტის
სოფელ მესხეთის საჯარო სკოლა

შპს „დი-თი"
[illegible]

GEORGIA. LTD „DI-TI" 212919813

221299832

## დასრულებული ზედნადები / მისაღები

ID-285791960w

შექმნა / 11-აგვ-2016 11:10 · აქტივაცია / 12-აგვ-2016 11:08 · დასრულება / 13-აგვ-2016 10:29

NEW ცვლილებების შედარება

### ძირითადი ინფორმაცია

| ზედნადების ტიპი | კატეგორია | ზედნადების № | გააქტიურების თარიღი |
|---|---|---|---|
| ტრანსპორტირებით | ჩვეულებრივი | 0255171028 | 12-აგვ-2016 10:50 |

### გამყიდველი (გამგზავნი)

| საიდენტ. ნომერი | დასახელება / სახელი, გვარი | ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი) |
|---|---|---|
| 212919813 | შპს დი-თი<br>დღგ-ს გადამხდელი | ქ.ქუთაისი სულხან საბას ქ. #10 |

ტრანსპორტირების სახე: საავტომობილო

| მძღოლის პ/ნ | მძღოლის სახელი და გვარი | ა/მ ნომერი | მისაბმელი | ტრანსპორტირების ხარჯი | |
|---|---|---|---|---|---|
| 60001121714 | გოგა ჩაჩეტაძე | DIT155 | | 0 | გამყიდველი |

უცხო ქვეყნის მოქალაქე

### მყიდველი (მიმღები)

| საიდენტ. ნომერი | დასახელება / სახელი, გვარი | ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი) |
|---|---|---|
| 221299832 | ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სა | წყალტუბო, სოფელი მესხეთი |

უცხო ქვეყნის მოქალაქე

მყიდველის ქვე-მომხმარებელი: აირჩიეთ

| № | საქონლის კოდი | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდ. | ერთ. ფასი | საქონლის ფასი | დაბეგვრა | დაბრუნ. რაოდ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 50155 | საწერი მაგიდა | ცალი | 9 | 90.0000 | 810.00 | ჩვეულებრივი | 0 |
| | | | | 9.0000 | | 810.00 | | |

10 ▾ 1 ჩანაწერი / 1 გვერდი · წინა · 1 · შემდეგი · ექსპორტი

### ტრანსპორტირების დაწყების თარიღი (გადაზიდვა)

| რიცხვი, თვე და წელი | საათი(24სთ) | წუთი |
|---|---|---|
| 12-აგვ-2016 | 10 | 59 |

### ჩამბარებელი

თანამდებობა, სახელი და გვარი:

### მიმღები

თანამდებობა, სახელი და გვარი:

### ჩაბარების თარიღი

| რიცხვი, თვე და წელი | საათი(24სთ) | წუთი |
|---|---|---|
| 12-აგვ-2016 | 11 | 58 |

### შენიშვნა

მიუთითეთ შენიშვნა / კომენტარი:

არ ვეთანხმები · ბეჭდვა · მივიღე

**'მივიღე'** და **'არ ვეთანხმები'** ფუნქცია გამოიყენება მხოლოდ მყიდველ-გამყიდველს შორის ურთიერთობისათვის და მისი გამოყენება/არ გამოყენება არ განიხილება საგადასახადო მიზნებისათვის

ENGLISH VERSION